(NDC) - ეროვნულად განსაზღვრული წვლილი ასახავს ქვეყნების მიერ სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებაზე აღებულ ვალდებულებებს, ქვეყნის შიდა გარემოებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. თითოეული მხარე ვალდებულია საკუთარი, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შეტყობინება განაახლოს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

საქართველომ შეიმუშავა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი - INDC, რომლითაც ვალდებულებას იღებს, 2030 წლამდე 15%-ით შეამციროს სათბური გაზების ემისია იმ სცენართან შედარებით, რომლითაც იგი არანაირ შემარბილებელ ღონისძიებას არ გაატარებდა. თუკი ქვეყანა მიიღებს ფინანსურ დახმარებას ან ტექნოლოგიებს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ღონისძებების გასატარებლად, 15%-ის ნაცვლად სათბური გაზების ემისიებს 25%-ით შეამცირებს.



ამ ეტაპისთვის საქართველო ამზადებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს (NDC), რომელიც კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სამდივნოში უნდა გაიგზავნოს 2019 წლის ბოლოს.

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ „დედამიწის მეგობრები-გერმანია (**BUND**)“ თანამშრომლობით,
„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (**BMU**)“ მხარდაჭერით

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო,“ მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21
ელ. ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)

2018

დღეისათვის დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება მიმდინარეობს მსოფლიოს მასშტაბით და გამოწვეულია გლობალური დათბობით, რომლის მიზეზია სათბური გაზების მაღალი და მზარდი კონცენტრაცია.

კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს: მყინვარების დნობა, ყინულის ფენების გალევა ოკეანეებში, გვალვები, ძლიერი წვიმები, ქარიშხლები, ღვარცოფები, მეწყერები და ა.შ.



მიმდინარე კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც შესამჩნევი გახდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები.

კლიმატის ცვლილების დროს იცვლება ბუნებრივი ეკოსისტემები, რომელთა უმრავლესობა ვერ ახერხებს ახალ გარემო პირობებთან შეგუებას და ხდება მისი გადაგვარება ან საერთოდ გაქრობა. იზრდება სხვადასხვა დაავადებებისა და ეპიდემიების გავრცელების რისკი და ა.შ.

კლიმატის ცვლილების პროცესი მსოფლიო მასშტაბით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, გარკვეული ცვლილებები შეინიშნება საქართველოშიც. საჭიროა ისეთი სადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელთა შინაარსი და მასშტაბები განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ეროვნულ, რეგიონულ ან თემის დონეზე.

საქართველო წარმოადგენს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა და მრავალი სხვა საერთაშორისო შეთანხმების წევრ ქვეყანას (მხარეს), რომელიც მას ავალდებულებს, შეასრულოს საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც პირველ რიგში გულისხმობს სათბური გაზების ემისიის შემცირებას.

პარიზის შეთანხმება

2015 წლის 12 დეკემბერს, პარიზში კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში, მიღებულ იქნა „პარიზის შეთანხმება", რომელსაც ხელი მოაწერა 196 ქვეყნის წარმომადგენელმა.

შეთანხმება მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას, მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით და წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს წვლილის შეტანას.

ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, ეკონომიკური განვითარების პარალელურად, შეამცირონ კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბური გაზების გაფრქვევები დაბალემისიანი განვითარების გზით, შეზღუდონ გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა 2°C-მდე პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, უკეთ აადაპტირდნენ კლიმატის ცვლილებასთან და გაგრძელდეს განვითარება ისე რომ არ შეიზღუდოს საკვების წარმოება.

მოხდეს იქნას ფინანსური რესურსები, სათბური გაზების ემისიების შემცირებისა და კლიმატმედეგი განვითარებისთვის.

პარიზის შეთანხმება წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, უზრუნველყონ თანმიმდევრული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების (NDC) მომზადება, შეტყობინება და წარმოება, რომლის მიღწევასაც აპირებენ.